დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2024 წლის 25 ნოემბერი**

დისციპლინური საქმე №141/24
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ

-- -- 2024 წლის 28 ოქტომბრის №141 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უამაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2024 წლის 30 ოქტომბრის №455/141-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრების შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ:

1.1. მოსამართლემ მიიღო უსამართლო გადაწყვეტილება და ბრალდებულ -- -- მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოიყენა გირაო. საჩივრის ავტორის შეფასებით, აღნიშნული გადაწყვეტილების პროცესში, მოსამართლე მოქმედებდა პირადი ინტერესით;
1.2. საჩივრის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ მოსამართლემ მოწმის მიმართ სასამართლო სხდომაზე გამოიჩინა უპატივცემულო დამოკიდებულება.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2024 წლის 17 ივლისს, სისხლის სამართლის საქმე -- -- მიმართ არსებითად განსახილველად გადაეცა -- საქალაქო სასამართლოს მოსამართლეს -- --.

საქმის არსებითი განხილვის ფარგლებში სასამართლო სხდომები ჩატარდა: 2024 წლის 26 ივლისს; 2024 წლის 22 აგვისტოს; 2024 წლის 5 სექტემბერს; 2024 წლის 20 სექტემბერს; 2024 წლის 10 ოქტომბერს; 2024 წლის 29 ოქტომბერს.

2024 წლის 20 სექტემბრის სასამართლო სხდომაზე, მოსამართლე -- -- განიხილა -- -- მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების პატიმრობის ძალაში დატოვების საკითხი და 2024 წლის 20 სექტმებრის განჩინებით, ბრალდებულ -- -- მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა შეცვალა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით და მის მიმართ გამოიყენა გირაო 30 000 ლარის ოდენობით.

დისციპლინური საჩივრის შესწავლის დროისთვის, საქმის არსებითი განხილვა არ დასრულებულა.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები, ხოლო 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კი, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. დამატებით, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს. არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/განაჩენის კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

აღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტებისა და სამართლებრივი დასკვნების შეფასებას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თუმცა, საჩივარში მითითებული გარემოება, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გადასინჯვას, სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის უფლებამოსილებას.

აქვე გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს სსსკ-ის 230[1] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობაა გამოყენებული, სასამართლო სხდომის თავმჯდომარე განაჩენის გამოტანამდე თავისი ინიციატივით პერიოდულად, ორ თვეში ერთხელ მაინც განიხილავს აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხს. ეს ორთვიანი ვადა აითვლება წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან. ამ ნაწილით გათვალისწინებული საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო ხელმძღვანელობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლით დადგენილი წესითა და სტანდარტით.

განსახილველ შემთხვევაში, დისციპლინური საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები, კერძოდ, მოსამართლის მიერ ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით შეცვლის საკითხი წარმოადგენს მოსამართლის მიერ, შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასებების შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებას და არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დისციპლინური გადაცდომა.

ამასთან, მოსამართლის შესაძლო პირად ინტერესთან დაკავშირებით, დისციპლინურ საჩივარში წარმოდგენილი ინფორმაციის გარდა, საჩივარს არ ერთვის შესაბამისი მტკიცებულებები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის წარმომადგენლის მიერ დამატებით მოხდა სატელეფონო გასაუბრება საჩივრის ავტორთან, რომელსაც მიეცა შესაძლებლობა, რომ დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში წარმოედგინა კონკრეტული მტკიცებულება ან ინფორმაცია, მოსამართლის მხრიდან საქმესთან დაკავშირებით შესაძლო პირადი ინტერესის არსებობის შესახებ, რაზეც მან განაცხადა, რომ დისციპლინურ საჩივარში მითითებული ინფორმაციის გარდა არ ფლობდა სხვა მტკიცებულებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი საჩივრისა და საქმის მასალების დეტალური შესწავლის შედეგად, მოსამართლის მიერ პირადი ინტერესით გადაწყვეტილების მიღების ფაქტი არ დასტურდება. მოსამართლე მოქმედებდა სისხლის სამართლის საქმის მასალებისა და შინაგანი რწმენის საფუძველზე, რომლის შეფასება სცდება დისციპლინური სამართალწარმოების მიზნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[12] მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ამდენად, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[12] მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. -- -- 2024 წლის 28 ოქტომბრის №141 საჩივრის საფუძველზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, გადაწყვეტილების 1.1. პუნქტთან მიმართებაში.

2. გაგრძელდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, -- -- 2024 წლის 28 ოქტომბრის №141 საჩივარში მითითებული დისციპლინური გადაცდომის სხვა ფაქტების შესწავლის ნაწილში.

შოთა ქადაგიძე
დამოუკიდებელი ინსპექტორი